ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო  ს ხ დ ო მ ი ს
ო ქ მ ი

საქმე № 2ბ-2989 -13 ქ. თბილისი

2013 წლის 26 06, ოთხშაბათი

## თბილისის სააპელაციო სასამართლო
## სამოქალაქო საქმეთა პალატა

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე | გოდერძი გიორგიშვილი |
| მოსამართლეები: | თინათინ ეცადაშვილი |
| | ირაკლი ადეიშვილი |
| სხდომის მდივანი | ნანა კაბულაშვილი |

აპელანტი - შპს „ჯეო ცნობარი“

მოწინააღმდეგე მხარე - სს „ინფოჯორჯია XXI“

დავის საგანი - მონაცემთა ბაზის უკანონო გამოყენების აკრძალვა და მოპასუხის არამართლზომიერი ფლობიდან მისი გამოყოფა

სასამართლო სხდომა გაიხსნა **16:04:55** საათზე.

სასამართლო სხდომაზე მოწვეულ პირთაგან გამოცხადდა:

აპელანტის შპს „ჯეო ცნობარი“-ს დირექტორი გიორგი ქოჩლაძე (პირადობის მოწმობა 0100806121)

მოწინააღმდეგე მხარის სს „ინფოჯორჯია XXI“-ს წარმომადგენლები ივანე გოგიჩაიშვილი და ტარიელ ჩოციშვილი (მინდობილობები ერთვის საქმეს.

172

წარმოდგენილი იქნა საადვოკატო უფლებამოსილების დამადასტურებელი მოწმობა #0763)

2. სხდომის ოქმის ჩაწერა ხორციელდება სასამართლო პროცესის ფიქსაციის ტექნიკური სისტემის "თემიდა 2010" -ს საშუალებით.

სასამართლო სხდომის დაწყების წინ სხდომის მდივანმა ნანა კაბულაშვილმა შეამოწმა სისტემის ტექნიკური მდგომარეობა.

ჩაწერა ხორციელდება კომპაკ-დისკზე № 1257 107 BC 4744

16:04:57 სასამართლო სხდომის გახსნა :

16:05:00: თავმჯდომარე: გოდერძი გიორგიშვილი

16:05:23 სხდომის მდივნის მოხსენება მხარეთა გამოცხადების შესახებ :

16:05:24: სხდომის მდივანი: ნანა კაბულაშვილი

16:05:51 სასამართლო შემადგენლობის გამოცხადება და აცილების უფლების განმარტება :

16:05:51: თავმჯდომარე: გოდერძი გიორგიშვილი

16:06:00: მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი: ტარიელ ჩოჩიშვილი

16:06:06: მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი: ივანე გოგიჩაიშვილი

16:06:14: თავმჯდომარე: გოდერძი გიორგიშვილი

16:07:29: აპელანტი ორგანიზაციის დირექტორი: გიორგი ქოჩლაძე

16:07:36: მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი: ივანე გოგიჩაიშვილი

16:07:40: თავმჯდომარე: გოდერძი გიორგიშვილი

16:09:49: აპელანტი ორგანიზაციის დირექტორი: გიორგი ქოჩლაძე

16:09:51: მოსამართლე: ირაკლი ადეიშვილი

16:09:56: მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი: ტარიელ ჩოჩიშვილი

16:10:07: თავმჯდომარე: გოდერძი გიორგიშვილი

16:10:08: აპელანტი ორგანიზაციის დირექტორი: გიორგი ქოჩლაძე

16:10:11: თავმჯდომარე: გოდერძი გიორგიშვილი

16:10:45: მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი: ტარიელ ჩოჩიშვილი

16:10:57: თავმჯდომარე: გოდერძი გიორგიშვილი

16:12:27: მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი: ტარიელ ჩოჩიშვილი

16:12:48: თავმჯდომარე: გოდერძი გიორგიშვილი

16:12:50: მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი: ივანე გოგიჩაიშვილი

16:13:03: თავმჯდომარე: გოდერძი გიორგიშვილი

16:13:46 ადგილზე თათბირით მიღებული განჩინების გამოცხადება :

16:13:46: თავმჯდომარე: გოდერძი გიორგიშვილი

სასამართლო აცხადებს მიღებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილს:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლით, 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით, 49-ე მუხლის პირველი ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება შპს „ჯეო ცნობარსა“ და სს „ინფოჯორჯია XXI“-ს შორის შემდეგი პირობებით:

2. მხარეები თანხმდებიან, რომ მონაცემთა ბაზა წარმოდგენს მათ თანასაკუთრებას;

3. თანასაკუთრებაში არსებული მონაცემთა ბაზის გამოყენებით ან სარგებლობის უფლებით გადაცემის შედეგად მიღებული მოგება მხარეთა შორის განაწილდება შემდეგი პროპორციით: სს „ინფოჯორჯია XXI“- 60%; შპს „ჯეო ცნობარი“-40%;

4. მხარეები თანხმდებიან, რომ მხარეს აქვს თანასაკუთრებაში არსებული მონაცემთა ბაზის ან მისი ასლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უპირობო, წინასწარი გაფრთხილების გარეშე ინსპექტირების უფლება და მეორე მხარე ვალდებულია უპირობოდ და შეუფერხებლად უზრუნველყოს მხარე შესაბამისი პირობებითა და წვდომით;

5. მხარეს აქვს თანასაკუთრებაში არსებულ მონაცემთა ბაზაზე მეორე მხარის წილის უპირატესი შესყიდვის უფლება; წილის გასხვისების ან უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაციისას წილის ღირებულება განისაზღვრება აუდიტორის ან ექსპერტის მიერ;

6. თანასაკუთრებაში არსებულ მონაცემთა ბაზასთან დაკავშირებით სხვა საკითხები, რომლებიც სახელდებით არ არის განსაზღვრული წინამდებარე მორიგების აქტში, დარეგულირდება საზიარო უფლებების ნორმებით;

7. მხარეთა მორიგების გამო გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება და შეწყდეს საქმის

წარმოება სს „ინფოჯორჯია XXI" სარჩელთან დაკავშირებით მოპასუხე შპს „ჯეო ცნობართან";

8. შპს „ჯეო ცნობარს" დაუბრუნდეს ირაკლი შარაბიძის მიერ სააპელაციო საჩივარზე 2012 წლის 21 მაისს სს ბანკი „რესპუბლიკაში" გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 150 (ასორმოცდაათი) ლარის ნახევარი 75 (სამოცდათხუთმეტი) ლარი;

9. განემარტოთ მხარეებს, რომ მხარეთა შორის საქმის მორიგებით დასრულების შემთხვევაში დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ დაიშვება;

10. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით საქართველოს უზენაეს სასამართლოში, თბილისის სააპელაციო სამართლოს მეშვეობით, განჩინების ასლის მხარეთათვის ჩაბარებიდან 12 დღის განმავლობაში.

თავმჯდომარე გოდერძი გიორგიშვილი

მოსამართლეები თინათინ ეცადაშვილი

ირაკლი ადეიშვილი

16:16:24: თავმჯდომარე: გოდერძი გიორგიშვილი

16:16:48: აპელანტი ორგანიზაციის დირექტორი: გიორგი ქოჩლაძე

16:16:52: მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი: ტარიელ ჩოჩიშვილი

მხარეები განმარტავენ, რომ ისინი არ ასაჩივრებენ სასამართლოს განჩინებას, რაზედაც ჩამოერთვათ ხელწერილი, რომელიც დაერთო სხდომის ოქმს.

სასამართლო სხდომა გამოცხადდა დახურულად 16:16:55 საათზე.

თავმჯდომარე: გ. გიორგიშვილი

სხდომის მდივანი: ნ. კაბულაშვილი

ასლი დედანთან სწორია
თბილისის საქალაქო სასამართლო
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია